ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ
ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ
ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ - ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
№8 / 2014



ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲛᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲛᲐ „ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐᲡ“ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ

„მეამაყება, რომ „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ ხელი მოვაწერე. ეს იდეა ნამდვილად ნარმატებული იყო და ფაქტიც სახეზეა: თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის ძალიან დიდი სივრცე იყო. ყოველთვის საუბარია იმაზე, რომ იყოს რეალური, ხალხის მმართველობა. თუ ადამიანმა არ იცის როგორი წესით უნდა აირჩიოს, ვინ უნდა აირჩიოს, რა სიახლეა საარჩევნო კანონმდებლობაში, ისე სწორ არჩევანს ვერ გააკეთებს. კარგად ჩამოყალიბებული წინასაარჩევნო პროგრამა მიგვიყვანს იქამდე, რომ სწორად იქნება საზოგადოებრივი აზრი ფორმულირებული და საკრებულოში ხალხის ნდობით აღჭურვილი კანდიდატები მოვლენ.“ – ეს სიტყვები ხელოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აბჟანიძელ თავმჯდომარეს ნოდარ თავართქილაძეს ეკუთვნის. მან „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მოაწერა ხელი. აღნიშნული ხელმოწერილი დეკლარაცია აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში დღემდე საპატიო ადგილს იკავებს.

„კარგი მმართველობის დეკლარაცია“ შემუშავებულია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ, პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აჭარის რეგიონის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას თვითმმართველობის არსის, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით; თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა.

ინფორმირებული, თავის უფლებებსა და მოვალეობებში კარგად გარკვეული მოსახლეობა უდავოდ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას არჩევნების შედეგებზე, შესაბამისად იცის ვის აძლევს თავის ხმას და რას მოელის მისგან საკრებულოში არჩევის შემთხვევაში. თავისი ნილი პასუხისმგებლობისა უნდა იკისრონ საკრებულოს წევრობის კანდიდატებმაც, რომლებიც აპირებენ გახდნენ საკრებულოს წევრები. დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს საკრებულოს საქმიანობა. „კარგი მმართველობის დეკლარაციის“ თანახმად საკრებულოს წევრი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა; ჩამოაყალიბოს მოსახლეობის მომსახურების ეფექტური სისტემა; ხელი შეუწყოს თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას; ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცებების, განკარგვის პროცესები იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს; ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 14 ივნისს, აჭარის რეგიონის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით „კარგი მმართველობის დეკლარაციის“ საჯაროდ განხილვა შედგა. განხილვაზე თითოეული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარი კანდიდატები მონაწილეობდნენ. მათ „კარგი მმართველობის დეკლარაციაში“ შესული პუნქტებს ერთხმად დაეთანხმნენ და საჯაროდ ხელმოწერით დაადასტურეს თავიანთი პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ კანდიდატს უარი არ უთქვამს „კარგი მმართველობის დეკლარაციის“ ხელმოწერაზე. რაც შეეხება მონაწილეთა სიმრავლეს, ქობულეთის მუნიციპალიტეტი უდავოდ გამორჩეული აღმოჩნდა.

„კარგი მმართველობის დეკლარაციის“ განხილვას დაესწრნენ და ხელი მოაწერეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „ქართული ოცნების“, არასაპარლამენტო ოპოზიციის, ერთიანი ოპოზიციის, „ლეიბორისტული პარტიის“, „საქართველოს გზის“, „ერთიანობის დარბაზის“ მაჟორიტარმა კანდიდატებმა და აგრეთვე საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა.

თემურ ვაშაყმაძე ერთ-ერთი იმ კანდიდატთაგანია, რომელმაც „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ ხელი საჯაროდ მოაწერა. ის ხულოს მუნიციპალიტეტის საციხურის თემში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს. იგი ამბობს: „კარგი მმართველობის დეკლარაციაში“ შესული პრინციპებს აბსოლუტურად ვეთანხმები. ეს შესანიშნავი ნამოწყებაა. მიხარია, რომ მომეცა საშუალება დავსწრებოდი დეკლარაციის განხილვას და ჩემი მოსაზრება დეკლარაციაზე ხელმოწერით დამედასტურებინა. მიმაჩნია, რომ თუკი გავხდები (იმედია ასეც იქნება) ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ კარგ მეგზურობას გამიწევს.“

„რადგან მიმაჩნია, რომ „კარგი მმართველობის დეკლარაციაში“ შესული პუნქტები მუნიციპალიტეტებისთვის სავალდებულოა და უნდა სრულდებოდეს, ამიტომაც სიხარულით მივიღე შემოთავაზება მონაწილეობა მიმეღო დეკლარაციის განხილვაში და ხელიც საჯაროდ მომეწერა,“ – განაცხადა დამოუკიდებელმა კანდიდატმა მერაბ აბულაძემ.

მერაბ ღოღობერიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემის მაჟორიტარი კანდიდატი და „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ სიის პირველი ნომერია. მას ძალიან მოეწონა „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ და ბაღლობა გადაუხადა „ინტელექტს“ ამ დოკუმენტის შედგენისთვის: „დეკლარაციაში შესული ყველა პუნქტი მისაღებია ჩემთვის. ადგილობრივი თვითმმართველობა ამ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. საკრებულო აუცილებლად უნდა იყოს გამჭვირვალე, რაც აქამდე არ ყოფილა და შემიძლია ჩემი ნათქვამი ფაქტებით გავამყარო. ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას და არასამთავრობო სექტორს, რომ ყველაფერი იქნება გამჭვირვალე და ბიუჯეტის ყოველი თეთრი იქნება მიზანმიმართულად გაწერილი. ამ დეკლარაციაზე ხელის მოწერამ უფრო მეტი სტიმული მომცა და პასუხისმგებლობა გამიორმაგა.“

„კარგი მმართველობის დეკლარაციის“ პრინციპებს ეთანხმება დამოუკიდებელი კანდიდატი მაჭახლის თემში ბექა ქობულაძეც. იგი „კარგ მმართველობის“ ერთ-ერთ გამოხატულებად მოსახლეობასთან ხშირ კონტაქტს მიიჩნევს და საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში თავის ამომრჩეველს პპირდება, რომ ანგარიშს ხშირად ჩააბარებს და თვითმმართველობის მუშობას გააცნობს.

• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა იქნება საჯარო;

• ხელს შეეწყობთ თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას;

• ჩამოვაყალიბებთ მუნიციპალური მომსახურების ეფექტურ სისტემას;

• ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების, განკარგვის პროცესები გახდება მაქსიმალურად გამჭვირვალე და დაეფუძნება მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს;

• უზრუნველყოფთ მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას;

• საერთო და მსგავსი პრობლემების ეფექტურად და ერთობლივად გადაწყვეტის მიზნით გავაღრმავებთ თანამშრომლობას თვითმმართველ ერთეულებს შორის;

• ხელს შეეწყობთ თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციას.

ლევან გობაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე: კარგი მმართველობის დეკლარაციის შემუშავების იდეა პირველად 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ გაჩნდა. დეკლარაციაში, ძირითადი თეზისების სახით ჩამოყალიბდა ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას უდევს საფუძვლად და რომლის რეალიზაციისკენაც უნდა ისწრაფოდნენ თვითმმართველობის ორგანოები.

კარგი მმართველობის დეკლარაციის შემუშავება და მისი საჯარო ხელმოწერა საარჩევნო სუბიექტების მიერ, ჩვენი აზრით იქნებოდა ძალიან კარგი „მორალური სტიმული“ საკრებულოების მომავალი წევრებისათვის, რომ არჩევის შემთხვევაში ეხელმძღვანელათ იმ პრინციპებით, რომლებიც დეკლარაციაში იქნებოდა ჩამოყალიბებული.

შინაარსობრივად, კარგი მმართველობის დეკლარაციაში არაფერია განსხვავებული იმისაგან, რაც თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობით არის განსაზღვრული. უბრალოდ, დეკლარაციაში კანონის ზოგადი ფორმულირებები უფრო კონკრეტული სახით არის გადმოცემული.

2010 წელს, კარგი მმართველობის დეკლარაციის შემუშავებამ და მისმა საჯარო ხელმოწერამ საშუალება მოგვცა, არჩევნების შემდგომ გაგვეხორციელებინა საკრებულოს წევრების საქმიანობის მონიტორინგი დეკლარაციაში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით. ეს პრინციპები ასრულებდა ინდიკატორების როლს (ცალკეული საკრებულოს წევრების საქმიანობების შეფასებისას. მონიტორინგის შედეგად, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში გამოვავლინეთ საკრებულოს საუკეთესო წევრები, რომლებიც დავაჯილდოვეთ ფასიანი საჩუქრებით. ჩვენი აზრით, ასეთი დაჯილდოება იქნებოდა ერთგვარი მორალური წახალისება აქტიური და კრეატიული აზროვნების მქონე საკრებულოს წევრებისათვის.

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ კარგი მმართველობის დეკლარაციის შემუშავება და საჯარო ხელმოწერა იგივე მიზანს ემსახურება. 2014 წლის კარგი მმართველობის დეკლარაციაში მოცემული თეზისები კიდევ უფრო დაიხვენა და მოიცვა ყველა ის ფუნდამენტალური საკითხი, რაც ეფექტური თვითმმართველობის საფუძველს წარმოადგენს - საქმიანობის საჯაროობა, თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობა, მუნიციპალური ბიუჯეტების მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტაციის ხარისხის ამაღლება, მუნიციპალური ტერიტორიების სოციალური და ეკონომიკური განვითარება, თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია.

15 ივნისის არჩევნების შემდეგ ასევე გავაგრძელებთ საკრებულოების საქმიანობის მონიტორინგს დეკლარაციაში მოცემული პრინციპების მიხედვით.

საგაზეთო ჩანართის გამოსაცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge